ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომის

ოქმი № 9

ქ. ახმეტა 7 ივლისი, 2021 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა: თამარ ყეინიშვილი - ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ს ხ დ ო მ ა ს ე ს წ რ ე ბ ო დ ნ ე ნ:

საკრებულოს წევრები: რ. ბაღაკაშვილი, ბ. ჭიჭიკლიშვილი, მ.კოხტაშვილი, თ.მგელიაშვილი, ა. ხიზანაიძე, გ. ხუცურაული, ა. ბუღრიძე, ა. მექვევრიშვილი, რ. გახუაშვილი, ი. მრელაშვილი, დ. იმერლიშვილი, ა.შათირიშვილი, თ. ბორჩაშვილი, ვ. სუხოშვილი, რ. ალხანაშვილი, თ. მოზაიძე, დ. ავაზაშვილი, გ. მაისურაძე, ფ. შიომღვდლიშვილი, ვ. დედაბრიშვილი, გ.ჭვრიტიძე.

სხდომა გაიხსნა 11 ^{00} საათზე.

დღის წესრიგი

1. „ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 2 ივნისის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი –ილია გუმაშვილი /

2. ,,ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხაში დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

3. მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ,,2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ ფარგლებში საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე განსახილველად წარსადგენი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ

/მომსხენებელი - ვანო ნასყიდაშვილი/

მომხსენებელმა ვანო ნასყიდაშვილმა ითხოვა მის მიერ წარსადგენი საკითხის დღის წესრიგში პირველ საკითხად შეტანა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის რიგითობის ცვლილების მიღება:

სხდომას ესწრება 22 საკრებულოს წევრი.

მომხრე - 20

მონაწილეობა არ მიიღო - (2) გ. მაისურაძემ, ვ. დედაბრიშვილმა.

დღის წესრიგი დამტკიცდა.

მოისმინეს: მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ,,2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ ფარგლებში საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე განსახილველად წარსადგენი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ

/მომსხენებელი - ვანო ნასყიდაშვილი/

მომხსენებელმა გააცნო პროექტი:

,,საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის #628 დადგენილებისა და ,,2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 27 მარტის №200 დადგენილებით განსაზღვრული წესის თანახმად, მოწონებულ იქნას თანდართული დანართის შესაბამისად, 2021-2022 წლებში სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე განსახილველად წარსადგენი შემდეგი პროექტები:

ა) ქ. ახმეტაში, ბიძინა ჩოლოყაშვილის სახელობის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება;

ბ) ციხე-ქალაქ კვეტერის ხელმისაწვდომობის გაზრდის ხელშეწყობა და პოპულარიზება მიმდებარე ტერიტორიაზე ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობით;

გ) ორმუხის ბუნებრივი და ტურისტული პოტენციალის გამოყენების მიზნით გადასახედისა და მისასვლელი გზის მოწყობა;

დ) ქ. ახმეტაში ,,წყაროების" ტერიტორიის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია ადგილობრივი მოსახლეობისა და ტურისტების მომსახურებისათვის;

ე) ახმეტის მუნიციპალიტეტში, თუშეთში ,,ხითანას" ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა.

2. ნება დაერთოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერს, პირველი პუნქტით განსაზღვრული პროექტები წარადგინოს კონკურსზე ,,2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 27 მარტის №200 დადგენილების შესაბამისად.

3. დაევალოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერს პირველი პუნქტით განსაზღვრული პროექტებისათვის საჭირო სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისათვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

4. განკარგულებით გათვალისწინებული თანხების განკარგვა განხორციელდეს „2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის მიღება.

სხდომას ესწრება 22 წევრი.

მომხრე - 22

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება № 19: მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ,,2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის" ფარგლებში საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე განსახილველად წარსადგენი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ

მოისმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ" ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 2 ივნისის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი -ილია გუმაშვილი /

სხდომა დატოვა გიორგი მაისურაძემ და გელა ჭვრიტიძემ.

მომხსენებელმა გააცნო პროექტი:

ნორმატიული აქტის პროექტის მიღების მიზეზი არის ის რომ, ახმეტის მუნიციპალიტეტის 2021 წლის 2 ივნისის N8 დადგენილებით არ იყო განსაზღვრული ამ დადგენილებით დამტკიცებუბული საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის აღსრულებაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეული.

ა.ბ) ნორმატიული აქტის პროექტის მიზანი

ნორმატიული აქტის პროექტის მიზანია, დადგენილებაში ცვლილების შეტანის გზით განსაზღროს ზემოაღნიშნული წესის აღსრულებაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეული.

ა.გ) ნორმატიული აქტის პროექტის ძირითადი არსი:

პროექტის მიხედვით ცვლილება შედის 2021 წლის 2 ივნისის N8 დადგენილების პირველ მუხლში და პირველი მუხლი ჩამოყალიბდება შემდეგი სახით:

„**მუხლი 1**

1. ეს წესი განსაზღვრავს საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 125-ე მუხლის მე-8, მე-14-მე-16 ნაწილებით, 125^4 და 135^1 მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში,ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნებასთან დაკავშირებულ პროცედურებს, აგრეთვე ამ წესის აღსრულების მიზნით ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის მიერ განსახორციელებელ ღონისძიებებს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ უფლებამოსილ სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.“.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის მიღება.

სხდომას ესწრება 20 წევრი.

მომხრე - 18

წინააღმდეგი - (2) ფ. შიომღვდლიშვილი, ვ. დედაბრიშვილი.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება № 9: „ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 2 ივნისის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მოისმინეს: ,,ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხაში დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისიის გადაწყვეტილებით საკითხები განხილულ იქნა რიგითობის მიხედვით.

მომხსენებელმა გააცნო პროექტი:

1. დამტკიცდეს საპრივატიზებო ობიექტების ნუსხაში მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული შემდეგი უძრავი ქონება:

ა) ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ალავერდში მდებარე 3029კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა ს/კ 50.12.35.120

ბ) ქ. ახმეტაში, ჩოლოყაშვილის ქუჩაზე მდებარე 496კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა ს/კ 50.04.47.231

გ) ქ. ახმეტაში, თამარის ქუჩაზე მდებარე 529კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა ს/კ 50.04.43.211

დ) ქ. ახმეტაში, სანაპიროს ქუჩაზე მდებარე 2370კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა ს/კ 50.04.41.210

ე) ქ. ახმეტაში, სანაპიროს ქუჩაზე მდებარე 2472კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა ს/კ 50.04.41.180

ვ) ქ. ახმეტაში, მდებარე 35კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა ს/კ 50.04.42.562.

ზ) ქ. ახმეტაში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე შენობა და მასზე დამაგრებული 777კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა ს/კ 50.04.42.086

თ) ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ კასრისწყალში მდებარე საცხოვრებელი ბინა და მასზე დამაგრებული 1031 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა ს/კ 50.27.31.023

ი) ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ კასრისწყალში მდებარე საცხოვრებელი ბინა და მასზე დამაგრებული 1222 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა ს/კ 50.27.31.024

კ) ქ. ახმეტაში, სანაპიროს ქუჩაზე მდებარე 1328კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა ს/კ 50.04.41.219

ლ) ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ხოდაშენში მდებარე 425კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა ს/კ 50.02.35.414

მ) ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ კუწახტაში მდებარე შენობა და მასზე დამაგრებული 2525კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა ს/კ 50.05.36.220

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ახმეტაში რუსთაველის ქუჩაზე მდებარე უძრავი ქონების, შენობისა და მასზე დამაგრებული 777.0კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის (ს/კ50.04.42.086), ა(ა)იპ „კახეთის რეგიონალური განვითარების ფონდი"-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, პირობიანი იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ" ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 04 დეკემბრის N46 განკარგულება.

მომხსენებელმა გააცნო პროექტი:

ა) ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ალავერდში მდებარე 3029კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა ს/კ 50.12.35.120

სხდომა დატოვა - ფ. შიომღვდლიშვილმა და ვ. დედაბრიშვილმა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის მიღება.

სხდომას ესწრება 18 წევრი.

მომხრე - 17
მონაწილეობა არ მიიღო - დ. ავაზაშვილმა.

მომხსენებელმა გააცნო პროექტი:

ბ) ქ. ახმეტაში, ჩოლოყაშვილის ქუჩაზე მდებარე 496კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა ს/კ 50.04.47.231

ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა: საკითხი საჭიროებს დამატებით შესწავლას, რაზეც ყველა საკრებულოს წევრი ერთხმად დაეთანხმა.

მომხსენებელმა გააცნო პროექტი:

გ) ქ. ახმეტაში, თამარის ქუჩაზე მდებარე 529კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა ს/კ 50.04.43.211

ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა: საკითხი საჭიროებს დამატებით შესწავლას, რაზეც ყველა საკრებულოს წევრი ერთხმად დაეთანხმა.

მომხსენებელმა გააცნო პროექტი:

დ) ქ. ახმეტაში, სანაპიროს ქუჩაზე მდებარე 2370კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა ს/კ 50.04.41.210

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის მიღება.

სხდომას ესწრება 18 წევრი.

მომხრე - 17

მონაწილეობა არ მიიღო - დ. ავაზაშვილმა.

მომხსენებელმა გააცნო პროექტი:

ე) ქ. ახმეტაში, სანაპიროს ქუჩაზე მდებარე 2472კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა ს/კ 50.04.41.180

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის მიღება.

სხდომას ესწრება 18 წევრი.

მომხრე - 17

მონაწილეობა არ მიიღო - დ. ავაზაშვილმა.

მომხსენებელმა გააცნო პროექტი:

ვ) ქ. ახმეტაში, მდებარე 35კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა ს/კ 50.04.42.562.

ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა: საკითხი საჭიროებს დამატებით შესწავლას, რაზეც ყველა საკრებულოს წევრი ერთხმად დაეთანხმა.

მომხსენებელმა გააცნო პროექტი:

ზ) ქ. ახმეტაში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე შენობა და მასზე დამაგრებული 777კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა ს/კ 50.04.42.086

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის მიღება.

სხდომას ესწრება 18 წევრი.

მომხრე - 18

მომხსენებელმა გააცნო პროექტი:

თ) ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ კასრისწყალში მდებარე საცხოვრებელი ბინა და მასზე დამაგრებული 1031 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა ს/კ 50.27.31.023

ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა: საკითხი საჭიროებს დამატებით შესწავლას, რაზეც ყველა საკრებულოს წევრი ერთხმად დაეთანხმა.

მომხსენებელმა გააცნო პროექტი:

ი) ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ კასრისწყალში მდებარე საცხოვრებელი ბინა და მასზე დამაგრებული 1222 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა ს/კ 50.27.31.024

ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა: საკითხი საჭიროებს დამატებით შესწავლას, რაზეც ყველა საკრებულოს წევრი ერთხმად დაეთანხმა.

მომხსენებელმა გააცნო პროექტი:

კ) ქ. ახმეტაში, სანაპიროს ქუჩაზე მდებარე 1328კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა ს/კ 50.04.41.219

ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა: საკითხი საჭიროებს დამატებით შესწავლას, რაზეც ყველა საკრებულოს წევრი ერთხმად დაეთანხმა.

მომხსენებელმა გააცნო პროექტი:

ლ) ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ხოდაშენში მდებარე 425კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა ს/კ 50.02.35.414

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის მიღება.

სხდომას ესწრება 18 წევრი.

მომხრე - 18

მომხსენებელმა გააცნო პროექტი:

მ) ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ კუწახტაში მდებარე შენობა და მასზე დამაგრებული 2525კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა ს/კ 50.05.36.220

ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა: საკითხი საჭიროებს დამატებით შესწავლას, რაზეც ყველა საკრებულოს წევრი ერთხმად დაეთანხმა.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება № 20 „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხაში დამტკიცების შესახებ;

საკრებულოს სხდომა დაიხურა 12:45 საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარე: **თამარ ყეინიშვილი**